ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 3 იანვარი 1920

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რეს.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორისმისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

საღამოსასწაული რეპერტუარი

შაბათს, იანვრის 3-ს, საღამოს ოპერა მუშებისთვის **რიგოლეტო.**

დილით **ბატა წაღებით და შოგის ხე.**

კვირას, იანვრის 4-ს, საღამოს ისეიკის ბენეფისი

დილით **ევგენი ონეგინი. სევილიელი დალაქი** და **გალეტი**

ორშაბათს, იანვრის 5-ს, საღამოს „ბეხალომ და ეთერი“. ხუთშაბათს, იანვრის 8-ს, დილით ქართული საბავშვო წარმოდგენა. საღამოს ეზროვის 20 წლის იუბილეი „პიკის ქალი“. პარასკევს, იანვრის 9-ს, დილით „კარმენი“. საღამოს „ჰოფმანის ზღაპრები“. შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისთვის „ჯამბაზები“ და ბალეტი. კვირას დილით „გენზელი და გრეტელი“. საღამოს დირიჟორ კორშონის ბენეფისი—„დუბროვსკი“. 317

შრომის სამინისტრო ამით აუწყებს

მუშებსა და დამქირავებლებს, რომ ვიდრე სიების წარმოდგენისა ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან ახალი ბარათების მისაღებად, გაგრძელებულია 1920 წ. იანვრის 10-მდე, რის შემდეგ, ისინი ვისაც ახალი ბარათი არ ექნება, პურს ვერ მიიღებენ. დამქირავებლები, რომელთაც სატარიფო პალატის დადგენილების თანახმათ, დღემდე არ შეუტანიათ მომარაგების სახელმწიფო ფონდში 1000 მან. თითეულ მოსამსახურეზე ან მუშაზე, ვალდებული არიან შეიტანონ იგი ტფილისის ხაზინაში ფონდის მიმდინარე ანგარიშზე № 139185 და კვიტანცია წარმოადგინოს შრომის სამინისტროში მოსამსახურეთა სიასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში სიების რეგისტრაცია არ მოხდება.

შრომის სამინისტრო.

325 1—1

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გაერთიანება

ამით აცხადებს, რომ რწმუნებულთა საგანგებო კრების დადგენილების თანახმათ, რომელიც შეიდგა 1919 წ. დეკემბრის 28-ს, 1920 წლ. იანვრის 1-დან საზოგადოების გამგეობა გადაახდევინებს მსესხებელთ:

1. სესხის მიღებისას ერთდროულ სამ პროცენტიან გადასახადს.
2. გამგეობის ხარჯებისთვის სამი პროც. წლიური.
3. ჯარიმა სავადო გადასახადის დროზე შეუტანლობის გამო 12% წლიური.
4. საზოგადოების სალაროში საზოგადოების ობლიგაციების შენახვისათვის 25 კ. წელიწადში 100 მანეთზე

ზედამხედველი კომიტეტისა და საზ. გამგეობის დადგენილებით, 1920 წ. 1 იანვრიდან მსესხებელთაგან მიიღება კომისიაზე გასაყიდათ ობლიგაციები წესდების მე 18 §-ის თანახმად, საკომისიო ½% ობლიგაციების ნომინალურ თანხიდან წინდაწინ და ½% შესრულების შემდეგ. 319 1—1

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით. მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ. მოზრდილთათვის ერთჯელ. წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან. ცალ-ცალკე 85 მ. ნახევარი წლით 90 მ. მისამართი: ტფილისი, „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—56. (უ)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილით მიმოსვლა ტფილისსა და დუშეთის შუა. სამგზავრო ექვს ადგილიანი ავტომობილი მიდის ტფილისიდან ყოველ დღე ქალაქთა კავშირის სამექან. სახელოსნოდან, ოლოლას ქ., № 29 დღის 2-ნახევარ საათ., დუშეთიდან დილით 7½ ს. ყოველ დღე. ტფილისიდან დუშეთამდე ბილეთი ღირს 250 მან. ტფილისი—მცხეთა 150 მ., დუშეთი-მცხეთა—200 მ. მხოლოდ გაეყიდველათ დარჩენილ ადგილებზე. 293 5—4

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

გარგის გადასტანა

მძიმე და მჩატე (25 ფუთიდან) სიბარგო ავტომობილებზე. ოლოლას ქ., № 29, ქალაქთა კავშირის სამექანიკო სახელოსნო. ტელ. 1—60. 292 6—4

კოოპერატივ „ედინენიე“-ს

გამგეობა და სარევიზიო კომისია სთხოვენ კოოპერატივის წევრებს მობრძანდენ მეორეთ დანიშნულ საგანგებო კრებაზე 1920 წლ. იანვრის 15-ს ყველა იმ საკითხების განსახილველათ, რომლებიც დაკავშირებულია კოოპერატივის საქმეთა მდგომარეობასთან. 490 1—1

საქართველოს დამფუძნებელი კრების განკარგულება.

დეკრეტი

დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.

1. დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთ ამა 1919 წლის ნოემბრის 1-დან მოემატოს ჯამაგირი შემდეგის განაწილებით თვიურად.

№№ რიგზე.	თანამდებობანი.	თანამდებ. რაოდენ.	მიეცეს ამა 1919 წ. ნოემბრის 1-დან თვიურად ჯამაგირად	მიეცეს ამა 1919 წ. ნოემბრის 1-დან ყოველ თვეს ჯამაგირად.
1	კანცელარიის გამგე	1	5000	5000
2	კანცელარიის გამგის ამხანაგი	1	4000	4000
3	საბიუჯეტო საფინანსო განყოფილების საქმეთა მმართველი	1	4000	4000
4	საქმის მწარმოებელი	8	3000	24000
5	ექსპედიტორი	1	1700	1700
6	ექსპედიტორის თანაშემწე	1	1500	1500
7	მანქანით გადამწერი უფროსი კატ.	7	1500	10500
	„ „ უმცრ.	3	1450	4350
8	სტენოგრაფ. ოქმების რედაქტორი უფროსი	1	3000	3000
	„ „ „ უმცროსი	1	2500	2500
9	სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელი	2	4000	8000
10	ოქმების შემდგენელი	14	1500	21000
11	ეგზეკუტორი	1	1700	1700
12	ეგზეკუტორის თანაშემწე	1	1500	1500
13	ქვეკასტორი	1	3500	3500
14	ქვესტორის თანაშემწე უფროსი	1	2600	2600
	„ „ უმცროსი	1	2500	2500
15	ბუხჰალტერი	1	3000	3000
16	ხაზინადარი	1	3000	3000
17	კანცელარიის მოხელე მორიგეობისათვის	1	1300	1300
18	წიგნთსაცავის გამგე	1	3000	3000
19	წიგნთსაცავის გამგის თანაშემწე	1	2500	2500
	სულ	—	—	114150

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროების დასაკმაყოფილებლად გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამა 1919 წლის ნოემბრის 1-დან ყოველთვიურად დამატებით სამოცი ათას ას ოთხმოცდა ხუთმეტი (60.195) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სამხედრო საჭიროებისათვის 30.000.000 მან. გადადებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში ოცდა ათი მილიონი (30.000.000) მანეთი.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად: სამხედრო მდგომარეობით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად და სამხედრო ქონების გადასაზიდავად ოთხი მილიონი (4.000.000) მანეთი, ათი ათასი (10.000) წყვილი ფეხსაცმელის შესაძენად ცამეტი მილიონი ექვსასი ათასი (13.600.000) მანეთი და მოულოდნელი ხარჯისათვის თორმეტი მილიონი ოთხასი ათასი (12.400.000) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 23-ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

საქართველოს სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საშუალების გაძლიერების და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულად ერთი მილიონი (1.000.000) მანეთი განათლების სამინისტროს განკარგულებაში საქართველოს სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საშუალების გასაძლიერებლად და დამსახურებულ მოღვაწეთა დასახმარებლად.

2. წინადადება მიეცეს განათლების და ფინანსთა სამინისტროებს დამფუძნებელ კრებაში წარმოსადგენად შეთანხმებით შეიმუშაონ კანონ-პროექტი გასართობ სანახაობაზე შესასვლელ ბილეთების დაბეგვრისა პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის მუდმივი ფონდის შესაქმნელად.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 23-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სახაზინო რკინისგზის საპენსიო კომიტეტისათვის 4.200.000 მანეთის გადადებისა.

1. ა) მიეცეს სახაზინო რკინისგზის საპენსიო კომიტეტს 1918 წლის ივნისის 1-დან ხაზინის ის დამატება, რომელიც აღნიშნულია რუსეთის მთავრობის მიერ 1916 წ. სექტემბრის 9-ს დამტკიცებულ სახაზინო რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთათვის შემნახველ-დამხმარე კასის დებულებაში (მე-7-ე და მე-8-ე მუხლი);

ბ) პირველ პუნქტში აღნიშნულ ხაზინის დამატებად გადაიდოს 1918 წლის ივნისის 1-დან 1920 წლის ივნისის 1 მდე გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში ოთხი მილიონ ორასი ათასი (4,200,000) მან. კრედიტი სახა-

ზინო რკინისგზის საპენსიო კომიტეტისათვის, რომელსაც ნახსენებ კრედიტიდან უნდა ეძლეოდეს საჭიროების მიხედვით განსაზღვრული თანხა; ხოლო ის ფული, რაც არ დასჭირდება კომიტეტს, ვალად დაეწეროს ხაზინას 4%-იან სარგებლის გადახდით.

გ) ხაზინის ამ დამატების რაოდენობის გამოანგარიშება და მიცემის წესი შემდეგში უნდა ხდებოდეს გზათა დეპარტამენტის, სახელმწიფო კონტროლის და ფინანსთა სამინისტროს უწყებათა შორის შეთანხმებით ზემოხსენებულ დებულების მე-10 ე და მე-11 ე მუხლის თანახმად და საჭირო თანხა ყოველწლიურად შეტანილ უნდა იქნეს სახაზინო რკინისგზის ხარჯთ-აღრიცხვაში.

2. ნება მიეცეს სახაზინო რკინის გზის საპენსიო კომიტეტს საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის დებულებათა თანახმად აძლიონ სრული ანგარიში (ე. ი. აძლიონ ის ფული, რაც მოსამსახურეთ 1918 წლის მაისის 26-მდე ერგებოდათ):

ა) ყველა მოსამსახურეთა ქვრივ ობლებს;

ბ) ყველა იმ მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილია ავადმყოფობის გამო.

გ) ყველა იმ დათხოვნილ მოსამსახურეებს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ ითვლება.

დ) ყველა იმ მოსამსახურეს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ არ ირიცხება, მაგრამ საქართველოს სახაზინო რკინისგზაზე სამსახურში იყო და არის დატოვებული 1919 წლის პირველ იანვრის შემდეგ.

შენიშვნა 1: იმ მოსამსახურეს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ არ ირიცხება და 1919 წ. იანვრის პირველამდე არის დათხოვნილი, თავის სურვილით, თუ სხვა რამ მიზეზით, გარდა ავადმყოფობისა, მიეცეს მხოლოდ ის ფული, რაც მას საპენსიო კასაში გამოურიცხეს 1918 წ. ივნისის 1 ს შემდეგ;

შენიშვნა 2: საპენსიო კასიდან ანგარიში უნდა ეძლეოდეს მხოლოდ საქართველოს სახაზინო რკინისგზის მუშა მოსამსახურეთ და მათ ქვრივ ობლებს.

1919 წ. დეკემბრის 23.

საქართველოს დამფუძნებელი
კრების თავმჯდომარის უფროსი
ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

კანონი

აფთიაქის პატრონთა და მოსამსახურეთა ზოგიერთი დანაშაულისთვის სასჯელის შეცვლისა.

1. აფთიაქის მმართველი, მოსამსახური, ფარმაცევტი ან მოწაფე, რომელიც დამნაშავეა იმისი, რომ:

ა) ურეცეფტოდ მისცა აფთიაქიდან წამალი, რომლის გაცემა მხოლოდ ექიმის რეცეფტით შეიცლება, ან

ბ) აფთიაქიდან მისცა წამალი შემზადებული არა იმ მასალისაგან, რომელიც რეცეფტშია აღნიშნული, ან

გ) აფთიაქიდან მისცა ან შეინახა აფთიაქში ისეთი წამალი, რომელიც არა სათანადო და ყალბი მასალისაგან არის დამზადებული ან უ უფთაო და ჯანმრთელობისათვის მავნებელ ან არა სათანადო თავდაცობილ ჭურჭელში შეინახა, ან

დ) დაამზადა და მისცა საიდუმლო წამალი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის საეკონომო-სასანიტარო განყოფილების მიერ ნებადართული არ არის, ან

ე) შეცდომით მისცა ერთი წამალი მეორის ნაცვლად—დაისჯება: აფთიაქის მმართველი და ფარმაცევტი პირველად დაპატიმრებით ან სატუსაღოში ჩასმით ერთ წლამდე; მეორეთ—სატუსაღოში ჩასმით ორ წლამდე და აფთიაქის მმართველის და საფარმაცო პრაქტიკის უფლების სამუდამოთ ჩამორთმევით.

საფთიაქო მოწაფენი—პირველად სასტიკ საყვედურის გამოცხადებით, ყოფა ქცევის (კონდუიტის) დავთარში შეტანით, მეორედ—დაპატიმრებით ან სატუსაღოში ჩასმით ერთ წლამდე, მესამედ კი—სატუსაღოში ჩასმით ორ წლამდე და აფთიაქის მოწაფის უფლების ჩამორთმევით.

2. საფთიაქო მაღაზიის პატრონი და მმართველი, რომელიც დამნაშავეა ზემოხსენებული პირველი მუხლის გ, დ და ე ნაწილის პუნქტში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებისა, აგრეთვე როგორც ექიმის რეცეფტით წამლის მიცემის, ისე ნებადაურთველი საშუალებისა და წამლის გაყიდვისა დაისჯება: სატუსაღოში ჩასმით ერთ წლამდე და საფთიაქო მაღაზიის დახურვით.

3. მმართველი ფაბრიკის, ლაბორატორიის ან ქიმიურ ქარხნის, სადაც მზადდება რთული ქიმიურ-საფარმაციო პრეპარატები და ქიმიური ნივთიერება და აგრეთვე მოსამსახურე, ფარმაცევტი, ქიმიკოსი ან მოწაფე ამ დაწესებულებათა, რომელიც დამნაშავეა იმის, რომ ცუდი თვისებისა და ყალბი ნივთიერება მოამზადა, ან შენახვის წესი დაარღვია, ან საწამლავი და ძალუმად მომქმედი ნივთიერება გასცა და იხმარა, ან დამზადების წესი დაარღვია და ისეთი წამალი გასცა, რომელშიაც ამ წესით დამზადებული ნივთიერებანი შედიან, დაისჯება: სატუსაღოში ჩასმით ერთ წლამდე და ზემოხსენებულ ქარხნების, ლაბორატორიების და სხვა დაწესებულებების დახურვით.

4. დამნაშავე იმისი, რომ ჯეროვან ნებართვის მიუღებლად მოამზადა გასასყიდად სამკურნალო ნივთიერება, ან წამალი, ან გაჰყიდა, და ამისაგან ვნება მიეცა ვისმე—დაისჯება: ყოველივე სამკურნალო მასალის და ამ წამლის მოსამზადებელი ხელსაწყოს ჩამორთმევით სამადლო დაწესებულებათა სასარგებლოდ და საპყრობილეში ჩასმით ორ წლამდე.

5. ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ გაუქმდეს სასჯელთა დებულების შემდეგი მუხლები: 883, 884, 892, 893, 898 და სასჯელთა წესდების 106¹ მუხლი.

1919 წ. დეკემბრის 19 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდ. უფრ. ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამფუძნებელი კრება

30 დეკემბერი, საღამოს სხდომა. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას სიტყვა

მოქალაქენო, ამას წინად თქვენ ამ ტრიბუნიდან გამოგეცხადათ, რომ მთავრობამ დაარსა ახალი სამინისტრო, ეს არის სამინისტროს მომარაგებისა. მე მინდა დღეს ამ ახალ სამინისტროზე ვსთქვა, რომ მას კიდევ მოემატა 2 მინისტრი. მაგრამ სანამ ამ კითხვაზე გადავიდოდე, და მოგახსენებდეთ ვრცლად, მე მინდა ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ ის მოტივები, თუ რისთვის დავაარსეთ მომარაგების სამინისტრო. ამ სამინისტროს დაარსება თავისთავად ნიშნავს და გულისხმობს იმას, რომ მთავრობა თვითონ ჩაება აღებ მიცემობის საქმეში, ე. ი. ჩვენ შევიქენით იძულებულნი, გამოვ'ულიყავით ბაზარზე და ვიყიდოთ და გავყიდოთ ასე, როგორც ამას სჩადის რომელიმე ვაჭარი. ეს, რასაკვირველია, არ არის ჩვენ მიერ, ასე ვსთქვათ, მოგონილი, ან და ვისიმეს ერნი ან ფანტაზია. ეს მდგომარეობა არის გამოწვეული სრულიად ობიექტიურ მიზეზებისაგან, და ეს მიზეზები დღეს მოქმედებენ არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან, დღეს მთელ მსოფლიოში. საქმე იმაში არის, რომ დღეს არა მარტო ჩვენს ახალს რესპუბლიკაში, არამედ მოწინავე ქვეყნებში, მდიდარ ქვეყნებში არის ჩამოვარდნილი დიდი ეკონომიური კრიზისი და ამ კრიზისის, ასე ვსთქვათ, ძირი, ანუ მთავარი მიზეზი გახლავთ სულ უბრალო რამ: ეს ის, რომ დღეს კაცობრიობა ხარჯავს მეტს, ვინემ მას აქვს შემოსავალი, მაშასადამე ამ შემოსავალ და გასავლის შუა არის დარღვეული წონასწორობა. თავის თავად ცხადია, რომ აქედან გამომდინარეობს ის ეკონომიური კრიზისი, ანუ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხალხს არ ძალუძს თავის ნაშრომითა, თავის შემოსავლით თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. მიზეზები ასეთი მდგომარეობისა გამომდინარეობენ, რასაკვირველია თქვენ იცით და ყველამ იცის ეს, უკანასკნელ მაოფლიო ომიდან. ომმა ისე გაანადგურა ძველი საწარმოო ძალები რომ ახ ლი მოთხოვნილებანი ახლად დაბრუნებულ საზოგადოებას ომის სფეროდამ მშვიდობიანობის სფეროში ჯერ კიდევ ვერ მოუპერხებია და ვერ მოუსწვრია, რომ აღადგინოს ძველი ნორმალური ეკონომიური კალაპოტი. და ვინაიდან ასეთი არის მდგომარეობა, ვინაიდან ბაზარზე საქონელი მოდის ნაკლები, ვინემ ეს არის საჭირო საზოგადოებისათვის, თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ყოველნაირი კერძო კაპიტალი, რომელიც გამოდის ამ ბაზარზე, ვაჭრობის კაპიტალიდან იქცევა სპეკულიაციის კაპიტალად. ამიტომ როდესაც ვამბობთ, რომ დღეს სპეკულიაცია არის ეს ნიშნავს იმას, რომ ის ვაჭარი, ის მრეწველი, როგორიც გინდა ის იყოს პატიოსანი კაცი, როდესაც ის მიდის ბაზარზე და საქონელს იძენს, იმდენი მთხოვნელები ახლავენ, რომ ის სწევს ფასს, სწევს ორჯერ, სამჯერ, ასჯერ, ათასჯერ, და ათასჯერაც რომ ასწიოს, მაინც არის მყიდველი და იმიტომ, რასაკვირველია ის ხდება სპეკულიანტად. ის რომ არ გახდეს სპეკულიანტი, ვსთქვათ ვინმე გამოვიდა პირი ძველი პატიოსნებისა, ე. ი. ძველი ვაჭარი, რომელიც ამბობს, არ ავწევ ფასებს და გავყიდო ცოტაოდენი მოგებით, მაგრამ თქვენ დამერწმუნებით, რომ ის კონკურენციის ძალით იქნება სრულიად განადგურებული ორ-სამ თვეში და ეს სპეკულიაციის კაპიტალი, რომელიც ბატონობს დღეს ბაზარზე, იქნება მაინც გაბატონებული. ასეთ ობიექტიურ მდგომარეობაში, როდესაც ასეთ მდგომარეობაში არის ბაზარი, თუ დავანებეთ სრულიად ბურთი და მოედანი, თავის თავად ცხადია, რომ მთელი ხალხი, საზოგადოება შეიქმნება საწველ ფურად და ამ კაპიტალის მსხვერპლად. ამიტომ ვამბობ, რომ სახელმწიფო უნდა გამოვიდეს, უნდა გაერიოს ამ საქმეში და თვითონ დაიწყოს აღებ მიცემობა და ვაჭრობა. და ერთგვარი კონკურენცია გაუწიოს, ერთგვარი კალაპოტი შეუქმნას თვით სპეკულიაციურ კაპიტალს. და ამავე დროს სახელმწიფო ივაჭრებს და საქმეს აწარმოებს ხალხის ინტერესების თანახმად. ამნაირად სახელმწიფოს მიერ დღეს ვაჭრობის დაწყება ნიშნავს სპეკულიანტურ კაპიტალის ერთგვარ ალაგმვას და მის სათანადო კალაპოტში ჩაყენებას. და უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ ვაჭრობას დღეს მოსდევს არა მარტო ჩვენი სახელმწიფო, არამედ ისეთი სახელმწიფოებიც, რომელნიც მუდამ ქადაგებდნენ ვაჭრობის თავისუფლებას და არასოდეს არ ქონდათ აზრათ, რომ ვაჭრობაში ჩაერეოდნენ. აი, ბატონებო, ეს არის, მოკლეთ, რომ ვსთქვით მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ დავაარსეთ ჩვენ მომარაგების სამინისტრო. ეს სამინისტრო ჩვენ შეუერთეთ შრომის სამინისტროს. ეს იწვევს ერთნაირ პროტესტს—ამბობენ სად მომარაგების სამინისტრო და სად შრომის სამინისტროვო. უნდა მოგახსენოთ, რომ შრომის სამინისტროს და მომარაგების სამინისტროს შორის არის მეტად მჭიდრო კავშირი. თქვენ იცით, რომ დღეს, ამ სპეკულიაციის ხანაში, თუ ვინმე არის გაჭირვებული, უპირველეს ყოვლისა არის მუშათა კალასი და სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი. რაც შეეხება სხვა კლასებს, ისინი რასაკვირველია იმდენათ არ არიან გაჭირვებულნი და შეუძლიათ თავისი მოთხოვნილება იოლად დაკმაყოფილონ. მაშასადამე შრომის წარმომადგენელი, მშრომელი ხალხი, აი ეს კლასი, რომელიც ჩვენ უპირველესყოვლისა უნდა ვიქონიოთ სახეში და მისი მოთხოვნილება სასახელმწიფოს მიერ დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, და ვინაიდან შრომის სამინისტრო არის ამ კლასის სამინისტრო, მის ინტერესებს იცავს, ეს კლასი არის მის გარშემო თავმოყრილი, აქედან თავისთავად ცხადია, რომ ის საქონელი, სურსათი, მანუფაქტურა და სხვა, რასაც იყიდის სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავიდეს ამ კლასის ხელში და ამ კლასს უნდა გაუნაწილდეს. ეს უნდა მოხდეს შრომის სამინისტროს საშუალებით, ვინაიდან ამ სამინისტროში არიან ამ კლასიდან გამოყოფილი ხალხი და ისინი თავის მოძმეთ უფრო კარგათ გაუნაწილებენ, ვიდრე სხვები.

აი ასეთი არის ჩვენი მოტივები ამ სამინისტროს დაარსებისა, ამასთან უნდა განვაცხადო, რომ მთავრობამ შემოიყვანა თავის წრეში ორი ახალი მინისტრი იმ დროს, როდესაც ეს დღევანდელი კაბინეტი სდგებოდა, მაშინ, როგორც იცით, ორი დიდი სამინისტრო ერთ პირს ჩავაბარეთ, ეს ორი დიდი სამინისტრო გახლდათ შინაგანი და სამხედრო სამინისტროები. მაგრამ ჩვენ ჩავაბარეთ ერთი პიროვნებით: ჩვენ მივანდეთ საშინაო მინისტრს, რომ მას ეტვირთა სამხედრო სამინისტროც და ცხოვრებაში გაეტარებინა სამხედრო რეორგანიზაცია, შემდეგ ამისა შინაგან საქმეთა მინისტრს შეეძლო სავსებით მისცემოდა თავის სამინისტროს. უნდა ვსთქვათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს დავალება ჩინებულად შეასრულა და მოხდა ის რეორგანიზაცია, რომელიც თქვენ ყველამ იცით. ჩვენ ეხლა გვაქვს მჭიდრო, მტკიცე საფუძველი მხედრობისა და იმედი გვაქვს, რომ ამ საფუძველზე აღდგება და აშენდება მტკიცე მამაცი ჯარი. აგრეთვე ამავე დროს მოხდა ჩვენი გვარდიის და ჯარის უფრო მჭიდრო დაკავშირება და ხელიხელ გაყრილნი მათი ერთად სიარული. აი ეს არის მთავარი საქმე ჩვენ დავაკისრეთ შინაგან საქ. მინისტრს ნ. რამიშვილს, მან ეს შეასრულა და ეხლა უბრუნდება სავსებით თავის სამინისტროს, ჩვენ ამაზე ვიმჯელებთ და სამხედრო მინისტრათ მოვიწვიეთ გრიგოლ ლორთქიფანიძე.

(ი. მაჭავარიანი: გენერალია თუ რა არის, უნდა მოგახსენოთ, რომ სამხედრო მინისტრათვის აუცილებლათ არ არის საჭირო, რომ ის იყოს მხედრი. აველზე უნდა მხედარი, ბრძოლის ველზე, მაგრამ, როცა მინისტრი აწარმოებს ერთნაირ პოლიტიკას, არ არის საჭირო აუცილებლათ იყოს მხედარი, ნუ სწუხართ იმ გენერლებზე, რომელზედაც სწუხართ, იწუხეთ იმაზე, რომ ის გენერლები იყვნენ კარგები იქ, სადაც ეს საჭირო არის (ასათიანი: იქაც კარგი გენერლები გავგზავნეთ). მე მგონია, რომ ამხ. ასათიანმა უნდა იცოდეს ის ამბავი, რომ საფრანგეთში დიდი ხანია სამხედრო მინისტრად არ არიან სამხედრო პირები, უეჭველია ამხ. ასათიანმა ეს იცის, მაგრამ ამას ივიწყებს აქ, დამფუძნებელ კრებაში. (ვიშაპ. პარლამენტის სამხედრო კომისიაში მუშაობის სტაჟი აქვს).

რაც შეეხება მეორე მინისტრს, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ იუსტიციის სამინისტრო გადავაქციეთ ცალკე სამინისტროთ, ჩვენ ეს სამინისტრო წინეთ დაუქვემდებარეთ გარეშე საქმეთა მინისტრს. მართალია, რომ ამ სამინისტროს სენატის დაარსებით შრომა რამოდენიმეთ მოაკლდა, ე. ი. მოსამართლეთ ნიშნავს სენატი, მაგრამ მეორეს მხრით ამ სამინისტროს შრომა მეტათ გაურთულდა. საქმე იმაში არის, რომ ჩვენი ახალი წყობილებაში, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოქმედებს ძველი სამოქალაქო კანონმდებლობა ეს ის 10—15 ტომი, რომელიც იყო ძველ არხაიულ რუსეთში. ჩვენში არსებობს, ეს კი სრულებით არ შეეფერება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას და იმიტომ პირველი აუცილებლობა და მთავრობის ვალდებულება არის, რომ ეს ძველი კანონები სრულიად იქნეს განხილული და ჩვენი დღევანდელი წყობილების თანახმად იქნეს შემუშავებული და თქვენს წინაშე წარმოდგენილი. უნდა ვსთქვათ, რომ ეს არის დიდი სამუშაო, ამას დიდი ენერგია სჭირია და სწორედ ასეთი პირი ჩვენ მოვიწვიეთ. ეს არის ენერგიის პატრონი, მცოდნე, რაოდენ არსენიძე (ტაში) ამნაირად დღეს ჩვენ გვყავს რვა მინისტრი, თითქმის თითოეულ უწყებას ყავს თავისი საკუთარი პატრონი და მომვლელი. (გვაზავა: რასაკვირველია, ეს საჭირო იყო) უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ასეთი დადგენილება გამოგვქონდა სახეში გვქონდა არა მარტო ის, რაზედაც ბე მოგახსენეთ, არამედ გვქონდა სახეში, ასე ვსთქვათ, ჩვენი მომავალი პოლიტიკური პერსპექტივებიც, ჩვენ ვიმყოფებით ისეთ ხანაში, რომ თითოეული მინისტრი, თითოეული მოხელე, თითოეული მოქალაქე უნდა იყოს თავის პოსტზე, უნდა იყოს დაინტერესებული ინტერესებისა, რომ ამით მოსალოდნელი პოლიტიკური, თუ სამხედრო, ასე ვსთქვათ გამწვავებანი თავიდან ავიცდინოთ. თქვენ იცით, რომ ერთი ასეთი გამწვავება შეიძლება სულ ახლო ძომავალში მოგვევლინოს ჩრდილოეთიდან, თავისთავად ცხადია, რომ როცა ბოლშევიკები დაამარცხებენ დენიკინს-ისინი ჩვენს საზღვრებზე არ გაჩერდებიან, (კედია: მართალია!) თუ ეს მართალია, შეიძლება არც იყოს მართალი, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიქონიოთ ეს სახეში და ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობა ამის ციხედვით მოვაწყოთ. აქ უეჭველია როლს ითამაშებს ის, რომ გვეყოლება საბჭოთა სამხედრო ძალა ერთის მხრივ და მთელი საქართველო მეორეს მხრივ იქნება ერთიანულოვანად გაძოსული ე. ი. შინაგანი სიმტკიცე და მაგარი ფრონტი—აი ეს იქნება საშუალება, რომ მოსალოდნელ საფრთხეს თავი დავაბნიოთ, ამიტომ მთავრობას აქვს სახეში მოქმედება კიდევ უფრო გააძლიეროს: მართვა გამგეობა, მხედრობა, გვარდია და მიხაული წესრიგი მტკიცეთ დაიცვას და ამას ვფიქრობ, დარწმუნებულიც ვარ ამაში, როცა ყველა ეს იქნება შესრულებული, ყველა იქნება თავის პოსტზე, ჩვეს ყოველსახირ საფრთხისაგან გამოვალთ გამარჯვებულნი. (ტაში)

ალ. ასათიანი (ერ.-დემ.). სამინისტროების დაარსების ასეთი წესი სავსებით ეწინააღმდეგება პარლამენტარიზმს. არ შეიძლება ასე ეთბაშათ სამინისტროს დაარსება და ისიც საკანონმდებლო ორგანოს დაუდასტურებლათ. არა მარტო ეს ახლათ დაარსებული სამინისტრო (მოთარაგების), არამედ ყველა მომარაგების ორგანიზაციები ალა ლეგალურათ არსებობდენ. შემდეგ ორატორი ეხება მომარაგების სამმართველოს და ამბობს: იქ საქმე ძალიან ცუდათ იყო დაყენებული. ანგარიშის წარმოება არ ხდებოდა სწორად. მთელს ორგანიზაციას მხოლოდ ერთი ბუხჰალტერი ყავდა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენს მთავრობას არ ჰქონდა და არც ახლა აქვს სამეურნეო საქმის, საეკონომიო ნახარეში რაიმე გარკვეული პოლიტიკა, გეგმა. სწორედ ამ უგეგმობით აიხსნება ის არევ-დარევა, რომელიც ჩვენს ეკონომიურ-ფინანსიურ ცხოვრე-

ბაში არის გამეფებული. ჩვენში ეკონომიურ საქმეს განაგებენ უცხოელები, შრეიდერი და სხვ. შრეიდერი ძალიანი საეჭვო პიროვნებაა, ის მოსკოვში მოღვაწეობდა. იქ ვექილთა საბჭომ გამორიცხა თავის წრიდან, შემდეგ ოდესაში საქმიანობდა, იქ სამართალში მიუციათ. ბოლოს ჩვენს რესპუბლიკაში შემოვიდა ჩაით (ჩამოიტანა ჩაი). აქ მას მაღალი თანამდებობა შესთავაზეს და დღემდე მსახურობს (ჟორდანია: ის გადაყენებულია). ასე საქმის გაგრძელება ყოველად შეუძლებელია: მომმარაგების სამინისტრომ უნდა შექმნას პასუხისმგებელი შტატი. სახელმწიფო ქონება მოვლილ უნდა იქნეს ისე, როგორც ეს ძველი რეჟიმის დროს იყო, ყოველმა მოხელემ უნდა იცოდეს, რომ მას დაწესებული წესების დარღვევისათვის სასტიკი სასჯელი მოელის. სამინისტროში ყველა მშარმოებელს და ვაჭარს ერთნაირი წესით უნდა იღებდნენ და ჯარ უნდა იყოს ვინმესთვის უპირატესობა. რაც შეეხება ეკონომიურ პოლიტიკას, ამის შესახებ ჩვენ აქ შემოვიტანეთ წინადადება, მაგრამ რალაცა მიზეზების გამო ის წინადადება ჯერაც არ განხილულა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ კერძო ინიციატივას ფართე გზა მიეცეს.

გრ. გიორგაძე (ს.-დ.) აღნიშნავს ასათიანის მიერ საკითხის დაწვრილმანებას ტ ამბობს: ბ. ასათიანმა საკითხი მეტად დააწვრილმანა და მთავარი საკითხი დაჩრდილა. მე ვეცდები შევაჩერო თქვენი ყურადღება მთავარ საკითხზე და მასთან კვალდაკვალ უპასუხო ბ. ასათიანს. თუ ჩვენს განვლილ ცხოვრების ისტორიას გადაავლებთ თვალს, დაინახავთ, რომ იქ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ერთი რომელიმე მხარე: ან საგარეო, ან სამხედრო, ან და სხვ. დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ მთელს ჩვენს ყურადღებას იპყრობს შინაური გამაგრება, შინაური ცხოვრების განმტკიცება ასეთ ხანაში ჯის შრომის განაწილება, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ მოგახსენათ სრულიად ბუნებრივია და მიზან შეწონილი. (გვახავა: ეს დიდი ხანია საჭირო იყო) ის ორგანიზაცია, ბ. გვახავა, რომელიც ცხოვრებას გაუსწრებს, არ იქნება ცხოველი და ვერ იხეირებს: ის ან ჩამორჩება, ან მოკვდება. ხოლო ცხოვრების მიერ კარნახით გადადგმული ნაბიჯი,—აი სწორი და მიზანშეწონილი მოქმედება.

უმთავრესი საკითხი ამ ჟამათ სასურსათო საკითხია. სასურსათო პოლიტიკა მოითხოვდა მის ცალკე გამოყოფას. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ობიექტიურმა პირობებმა აიძულა ჩარეოდა საალებ-მიცემო საქმეში. ამ ჩარევის წინაღმდეგ არაფერი თქმულა და ვერც იტყვიან.

სახელმწიფო იმიტომ ერევა აღებ-მიცემობის საქმეში, რომ მას ნორმალური მსვლელობა მისცეს. კერძო ინიციატივა და საზოგადოებრივი ინიციატივა ერთად უნდა მიდიოდეს ხალხის კეთილდღეობის ინტერესების მიხედვით.

აქ ბ. ასათიანმა ახსნა, რომ თქვენ მიდიხართ ეკონომიური შაბლონით, რასაც გერმანიაში და რუსეთში მოიმოქმედებენ თქვენ ის კარგი გგონიათ და ჩვენში გადმოგაქვთო. მე მგონია, რომ ეს შაბლონი არ არის, ეს ნაცადი გზაა და ამ გზით სიარული უფრო ნაყოფიერი იქნება ხალხისათვის, ვინემ იმ გზით, რომელსაც თქვენ გვირჩევთ ბ. ასათიანო.

რაც შეეხება იუსტიციის ჯდა სამხედრო სამინისტროების დაარსებას, ეს გამოწვეულია შრომის განაწილებით, ამას საფუძველათ უდევს შრომის განაწილება და მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

აქ წამოიძახეს, რომ სამხედრო მინისტრი მაინც და მაინც მხედარი უნდა იყოსო. ეს ასე არ არის. სამხედრო სამინისტროს სათავეში უნდა უდგეს პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებს ტეხნიკურ ძალებს და ორივენი ერთად განამტკიცებენ ჩვენს მხედრობას და დაიცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას. მთავრობა მთელი თავისი მოღვაწეობის დროს ერთ რამეს მიაქცევდა დიდ ყურადღებას: ეს იყო შინაური ცხოვრების განმტკიცება, შექმნა ისეთი საერთაშორისო პირობების, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს დამოუკიდებლობას და შექმნიდა კეთილ მეზობლურ განწყობილებას მეზობელ სახელმწიფოებთან. აი ეს იყო მთავრობის ხაზი, და ჩვენი ფრაქცია სავსებით იზიარებს ამ ხაზს, სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას და მხარს უჭერს მის ასეთ პოლიტიკას, მაგრამ მე უნდა დავსძინო ერთი რამ: მთავრობამ ღირსეულათ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ ესევე არ ითქმის სახელმწიფოს მოხელეებზე, ამ მხრივ საჭიროა დიდი მუშაობა და ჩვენ გვგონია, რომ მთავრობის თავმჯდომარე ალიჭურვოს განსაკუთრებული უფლებებით მართვა-გამგეობის და კანონიერების დაცვის საქმეში. დასასრულ ორატორი ამბობს: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ხელიდან არ გაუშვებს იმ დროშას, რომელსაც აწერია „საქართველოს დამოუკიდებლობა“ და რომელიც მას გადასცა დამფუძნებელმა კრებამ და მიიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, როცა საქ'ებით განმტკიცებული იქნება, როგორც დამოუკიდებლობა, ისე შინაური ცხოვრება (ტაში)

ლ. შენგელაია (ს რ.) მთავრობის თავმჯდომარეს არ ქონდა ფორმალურათ უფლება, რომ სამინისტროები დაეარსებინა. იმ რეზოლიუციაში, რომლითაც დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას კაბინეტს შედგენა მიანდო, ნათქვამი იყო, რომ მას აქვს უფლება მთავრობა შეადგინოსო. ეს უფლება მან მოიხმარა და ახლა კი რა უფლების ძალით დაარსა სამინისტროები, ჩვენ არ ვიცით.

მთავრობის დეკლარაციაში მაშინ, როცა ახალი მთავრობა ჩვენს წინაშე წარმოსდგა, აღნიშნული იყო, რომ დაცული იქნება თავისუფლება პრესის, სიტყვის, კრების და სხვ. სინამდვილეში კი სულ სხვა მოხდა. არც ერთი ეს არ არის დაცული. რაც შეეხება ბიუჯეტს, აგერ 10 თვეა დამფუძნებელი კრება მუშაობს და ბიუჯეტი დღემდე არ განუხილავს მას. ფული უსისტემოთ იხარჯება და ნაწილობრივ ამით აიხსნება ის ეკონომიური და ფინანსიური არევ-დარევა, რომელსაც ჩვენში აქვს ადგილი. არც საგარეო საქმეში გადადგმულა გადამჭრელი და საღი ნაბიჯები. მთელი მისი მუშაობა თფილი ნოტების წერაში გამოიხატა. ასე რომ ყველა სფეროში კრიზისია. ამ კრიზისიდან ერთად ერთი გამოსავალი არის შრომის კოლექტივიზაციის გზა. თუ ჩვენ გაბატონებული ვართ პოლიტიკურათ, ეკონომიურათაც უნდა გავბატონდეთ. ორში ერთი: ან გარკვეული კერძო ინიციატივა, ან საზოგადოებრივი, კოლექტიური წარმოება. სოც. დემოკრატების მსოფლმხედველობა რომ ბურჟუაზია დააგროვებს სიმდიდრეს და ის ჩვენ უნდა გავინაწილოთო,—ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია. ახლა არც სოც.-დემოკრატები: ჰაზე, კაუცკი, გილფერდინგი და სხ. უარყოფენ იმას, რომ საჭიროა წარმოების კოლექტივიზაცია (არსენიძე ადგილიდან: ტყუილია. ისმის ხმები: ეს ცილისწამებაა კაუცკიზე). ამ რიგათ ეს რეორგანიზაცია არაფერს კარგს არ გვიქადის. ეს არის ძველი სიმღერა, რომელიც არავის არ აკმაყოფილებს.

სიგვიანის გამო კამათის გაგრძელება გადაიდო შეორე დღისათვის.

პასპარა შენიშვნები.

საახალწლო კარიკატურა და უკმაყოფილებანი.

ის გაზეთები, რომელებიც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგანან, ერთ საკითხში შეთანხმებული გამოვიდნენ ახალ წელს. მათ გასულ წელს საპატიო ადგილი მიუჩინეს საქართველოს ცხოვრებაში. გაზეთების აზრით გასულ წელს საქართველომ შესძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სწარმოებდა ამის და გვარათ შინაური აღმაშენებლობითი მუშაობა და სხ.

სულ სხვა გვარათ მოიქცა მეორე ჯერის პრესა, ჩვენს საახალწლო პატარა მიმოხილვაში აღვნიშნავდით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძოდა მთელი წლის განმავლობაში უცხო ძალა. აქ მხედველობაში გვყავს ის უცხო ძალა, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში შემოუფარებია დროებით, თუ ასეთად უგრძვნია თავი მას საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან.

ამ მიმდინარეობას ჩვენში აშკარად თავისი აზრების გამომხატველი პრესა არა აქვს. დაბოლოს, მთავრობამ სამუდამოთ მოუღო მას ბოლო. საქართველოს აშკარა სამტრო წერილებს ამ ჟამად ამოიკითხავთ მხოლოდ მის გარეთ.

დენიკინელთა ლაშქარი და პრესა ჩვენსდამოუკიდებლობას ებრძვის „დობროვოლიიდან“. აქ იყრის თავს ყოველგვარი კონტრევოლიუციონერი, გაიძვერა, პირადათ თუ ჯგუფურად შეურაცხყოფილი.

ბალშევიკური, წითელი რუსული იმპერიალიზმი გვებრძვის „სოვდეპიიდან“. „სოვდეპიის“ აგენტები მუშაობენ ჩვენში, მუშაობენ აგრეთვე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში რუსი ე ერების ფირმით და სხ.

მაგრამ ყველაზე უფრო ყურადსაღებია ერთი ჯგუფის მუშაობა, რომელიც თითქოს კიდეც შეურიგდა ჩვენს დამოუკიდებლობას, თითქოს თანაუგრძნობს ჩვენს დემოკრატიას, მაგრამ ამასთან ერთად თვალი გარეთ უჭირავთ. საყურადღებო ამ ჯგუფის მუშაობა იმ მხრით კი არ არის, თითქოს ის რაიმე დიდ ძალას წარმოადგენდეს ჩვენს წინაღმდეგ. არა. საყურადღებოა ამ მიმდინარეობის ბრძოლის მეთოდები. ლეგალურათ მოქმედობს ის, თავისებური ენა აქვს, ლაპარაკობენ ერთმანეთში, ელაპარაკებიან გარეშეებსაც, მაგრამ შინაარსი მხოლოდ მათთვის არის გასაგები და ასასრულებელი. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ თითონ...

ამ მიმდინარეობის ზრახვათა გამომხატველი, ტფილისში რუსულ ენაზე არსებული გაზეთი შეეხო გასულ წელს და როცა საქართველოს ცხოვრების სურათი დახატა, გამოვიდა საქართველოს ცხოვრება წმინდა კარიკატურული, კარიკატურული ყოველის მხრით, ყოველ დარგში!..

ვერ ვიტყვით, რომ ეს კარიკატურა ავტორის სურვილის წინააღმდეგ დახატულაყოს. „საქართველოს ცხოვრების“ ალმწერი იცნობს საქართველოს, იცის მისი ავ-კარგი. და აი, ამ ავტორმა დახატა 1919 წლის ჩვენი ცხოვრების კარიკატურა.

ასევე შეაკოწიწა მეორე მიმოხილველმა ტფილისის თვითმართველობის მოღვაწეობის დამწუნებელთა საბუთები და დახატა ქალაქი ტფილისი. პირველ რიგში მან მოიყვანა დაშნაკელთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა, არშაკ ზურაბოვის ჯგუფის და სხ. არსებულიდან ბრძოლის დროს დაჩლუნგებული იარაღები—მათ მიერ წარმოებული ბოიკოტი არჩევნების დროს, საბოტაჟი, გაფიცვა სამსახურში და სხ.

დასკვნა: საქართველომ ტფილისი ხელში ჩაიგდო მოხერხებით, ქვეშევრდომობის კანონის მეოხებით. ნამდვილად კი, ტფილისი საქართველოს ქალაქი არ ყოფილა. აი რა „იტოგი“ გაუკეთა გაზეთმა წარსულს!..

მართალია, ტფილისის გარშემო დიდი ბრძოლა იყო, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, რომლიდან საქართველოს დემოკრატია გამარჯვებული გამოვიდა. აქ დამარცხდა სომხის პლუტოკრატია. აი ბრძოლის შედეგი. ეს იყო და ეს. რა შუაშია ქვეშევრდომობის კანონი? განა მსურველისათვის ძნელია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ გახდომა? სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენს სახელმწიფო სამსახურში მყოფიც კი გაურბის საქართველოს მოქალაქეობას. იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა მათ საანკეტო ფურცელი წარუდგინეს, სადაც საჭირო იყო სხვათა შორის ქვეშევრდომობის აღნიშვნა, მათ ბევრი არ უფიქრიათ—აიღეს და დასწერეს—ტფილისის მოქალაქენი ვართო. რას ნიშნავს ეს?

რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერი ტფილისელი ხუდადოვი ამტკიცებდა—ტფილისი საქართველოს განაპირა ქალაქია, ის ქართველებს არ შეუქმნია, ამიტომ უნდა დარჩეს ინტერნაციონალურ ქალაქადო.

რუსეთის სოც.-დემ. პარტიის სახელით არშაკ ზურაბოვის ჯგუფის საარჩევნო პლატფორმა შეიცავდა ტფილისის სრულიად გამოყოფას საქართველოსგან და ცალკე სახელმწიფოს, თუ რესპუბლიკად აღიარებას. აი ამ ხასიათის საბუთებს მოუყარა თავი ზემოხსენებულმა რუსულმა გაზეთმა და სახელად უწოდა—„ტფილისის ქალაქის საბჭო 1919 წელს“.

ბალშევიკური ანკესი.

იმ ბალშევიკურ ანკესზე, რომლის შესახებაც ამ დღეებში ვსწერდით, უკვე წამოეგო ტფილისის რუსული ჟურნალი „На Рубежѣ“.

მეხუთე ნომერში (27 დეკემბერი) ამ ჟურნალმა დაბეჭდა მეტეხის ციხეში გამომწყვდეული ბალშევიკების წერილი პროფესიონალური კავშირებისადმი მიწერილი, „დაჰბეჭდა“ ცნობა მათი ვითომ სიმშილობის, შეეიწროების ტანჯვის შესახებ და ასეთი შენიშვნა წარუმძღვარა: თუ წერილში მოყვანილი ფაქტები მათი ფიზიკური პირობების აუტანელი მდგომარეობის შესახებ სინამდვილეა,—ეს უდიდესი და გაუგებარი საშინელებაა ბალშევიკების წინაღმდეგ მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა; პოლიტიკურ ენებათა და წარმავალ „მომენტის“ სამსხვერპლოზე მიტანილია უფლებრივი სახელმწიფოს საფუძვლები. სარედაქციო შენიშვნა დაბოლოს ამბობს, რომ არა ნორმალურია ის მდგომარეობა, როცა ასეთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ ძველი დროის იარაღს—შიმშილობას მიმართვენო.

მეტეხში გამომწყვდეულ ბალშევიკებს შიმშილობის გამოცხადება სააგიტაციო მასალად სჭიროდა. და სწორედ ამ საქმეში მათ დაეგმარა ჟურნალი „На Рубежѣ“, როცა სავსებით დაბეჭდა ბალშევიკების მოთხოვნა და დასძინა თავისი „თანაგრძნობა“.

და ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ბალშევიკების „დასაცავათ“ წერილი იმ ჟურნალში იბეჭდება, რომლის სულის ჩამდგმელნი არიან ვადიმ ჩაიკინი და მუსტაფა ჩოკაევი.

ესენი ის პოლიტიკური მოღვაწენი არიან, რომელთაც საკუთარი თვალებით, ინახულეს, თურქესტანში ბალშევიკური ბრძოლის მეთოდები, მათი მატყუარობა, მუხანათობა და სხ.

მუსტაფა ჩოკაევს არ მოსწონს, როცა ჯულაშვილ სტალინის ბრძანებით ადგილობრივი „სოვდეპები“ ანადგურებენ ქალაქებს (კოკანდს და სხ.). არბევენ ავტონომიური თურქესტანის სახალხო საბჭოს და სხ. ყველა ამას სჩადიან ბალშევიკები თურქესტანში ადგილობრივი პროლეტარების სახელით—ხიშტები კი მოქმედობენ ციმბირის პოლკებისა და საბჭოთა ტყვე მადიარების.

ეს არ მოსწონს ჩოკაევს იქ თურქესტანში, აქ კი საქართველოში—იმ ბალშევიკებს ესარჩლებიან, რომლებიც იმავე ჯუღაშვილ—სტალინის მეთაურობით აჯანყებას აწყობდნენ და მიწასთან გასწორებას უპირებდნენ საქართველოს დემოკრატიას!..

რას ნიშნავს ეს—გულუბრყვილობას, შეგნებულს თუ შეუგნებელ ბალშევიკობას?

ჩვენებური ბალშევიკების მიმართ საქართველოს დემოკრატიამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა: კანონის ფარგლებში, სასტიკ რეჟიმში ყოფნა მათი—ცხოვრებაში იქნებიან ისინი, თუ მის გარეთ...

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

სახელმწიფო მამულების გამგებლობა და აგრარული რეფორმის გატარება აფხაზეთში.

შემუშავებულია და მიღებული შემდეგი დროებითი დებულებანი აფხაზეთში აგრარული რეფორმის გატარებისა და სახელმწიფო ქამულების მართვა-გამგეობის შესახებ.

ავტონომიურ აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავებამდე აგრარულ რეფორმის გატარების საკითხის შესახებ წესდება შემდეგი დებულებანი.

აფხაზეთში აგრარულ რეფორმის განხორციელება და სახელმწიფო მამულების გამგებლობა ეკისრება აფხაზეთის კომისარიატის მიწათ-მოქმედების განყოფილებას.

მიწათ-მოქმედების განყოფილების გამგე, სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობის პირნი და აგრეთვე სახელმწიფო კულტურულ მამულების გამგეს ნიშნავს მიწათ მოქმედების განყოფილება მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან შეთანხმებით.

მიწათ-მოქმედების განყოფილება თავის მოქმედების შესახებ ანგარიშს აბარებს აფხაზეთის კომისარიატს და აგრეთვე ყოველთვიურათ—მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

აგრარულ რეფორმის გასატარებლათ აფხაზეთის კომისარიატის მიწათ-მოქმედების განყოფილებასთან არსდება სამეჯნო ნაწილი.

სახელმწიფო კულტურულ მამულების მიღებას საჩქაროთ ახდენს მიწათ-მოქმედების განყოფილების მიერ არჩეული 3 პირისაგან შემდგარი საგანგებო კომისია.

შენიშვნა: სახელმწიფო მამულების დასაჩქარებლათ, თუ ეს საჭირო იქნება, სდგება მცირე კომისია ისეთივე შემადგენლობით.

სახელმწიფო კულტურულ მამულების ექსპლოატაციისა და გამგეობისთვის აფხაზეთის კომისარიატი მიწათ მოქმედების განყოფილების საშუალებით საჩქაროთ იმუშავებს ხარჯთაღრიცხვებს და სამეურნეო გეგმებს, რომლებიც წარედგინება მიწათ-მოქმედების სამინისტროს საკანონმდებლო დაწესებულებებში შესატანათ.

მცხოვრებთა შორის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლათ ერთ-ერთ სახელმწიფო კულტურულ მამულში იხსნება სასოფლ-სამეურნეო სკოლა.

აფხაზეთის კომისარიატის მიწათ-მოქმედების განყოფილებას ევალება სოხუმის საცდელ სადაღონო სადგურის, თამბაქოს პლანტაციის და მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო ნაწილის ადგილობრივ მოხელეების მეთვალყურეობა, რომელთა მოქმედების შესახებ მოახსენებს მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

საგარეო საქ. სამინისტროში.

სომხეთ-ადერბეიჯანის შეტაკების გამო

31 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ჰ. გეგეჭკორმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ერევანში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ხატისოვს:

„31 დეკემბრის დეპეშით თქვენ გაუწყეთ, რომ ორდუბათის და ნახიჩევანის მაჰმადიანებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს სომეხთა გოხტანის წინააღმდეგ. ამავე დროს ადერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში ვექილოვმა გადმომცა თქვენ სახელზე გაგზავნილი ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშის ასლი, სადაც გვაუწყებენ მათ მიერ მიღებულ ცნობებს სო-

ზეთის მთავრობის მიერ ზანგიბასარის რაიონის მაჰმადიანთა წინააღმდეგ 21 დეკემბერს სანხედრო მოქმედების დაწყების შესახებ. ვინაიდან ახლო მომავალში განზრახულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო კონფერენციის გახსნა, რომელმაც მშვიდობიანის გზით უნდა გადასჭრას ყველა სადავო საკითხი, სადავო რაიონებში ამ ჟამათ სისხლის ღვრა და შეტაკების განახლება უეჭველათ შეჭამნის დაბრკოლებებს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის მტკიცე და მეგობრულ ურთიერთობის დასამყარებლათ, რაც ფრიად საჭიროა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კეთილდღეობისა და ეკონომიურ განვითარებისთვის. ესარგებლო ძმათა შორის სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შესაწყვეტათ მე მიზანშეწონილათ მიმაჩნია, რომ თქვენ და ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ტფილისში ჩამობრძანდეთ, რათა საერთო კონფერენციის მოწვევამდე მოხდეს თათბირი შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობისთვის და შეთანხმების შესაქმნელათ ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის აღნიშნულ რაიონში შეხლაშემოხლის თავიდან ასაცილებლათ.

ჩემის მხრით სამსახურს გაგიწევთ შეთანხმებისათვის დახმარების და თათბირის შესაფერ ბინის მიმოჩენით“.

საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

იმავე რიცხვს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ჰ. გეგეჭკორმა ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ხან-ხოისკის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ადერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში ვექილოვმა გადმომცა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილ დეპეშის ასლი, რომელშიაც თქვენ იუწყებით, რომ თქვენ მიერ ზილებულ ცნობებით, სომხეთის მთავრობამ 21 დეკემბერს სამხედრო მოქმედება დაიწყო ზანგეზასარის მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ამავე დროს მე მომივიდა დეპეშა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ი. ხატისოვისგან, რომელიც აგრეთვე მაუწყებს, რომ ორდუბათის და ნახიჩევანის მაჰმადიანებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს სომეხთა გოხტანის წინააღმდეგ. ვინაიდან ახლო-მომავალში განზრახულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო კონფერენციის მოწვევა, რომელმაც მშვიდობიანის გზით უნდა გადასჭრას ყველა სადავო საკითხი, ამ ჟამათ სადავო რაიონებში სისხლის ღვთით და შეტაკების განახლება ჰქმნის დაბრკოლებებს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის მტკიცე მეგობრულ ურთიერთობის დასამყარებლათ, რაც ფრიად საჭიროა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკურ კეთილდღეობისა და ეკონომიურ განვითარებისთვის მომავალში. სრულიათ უსარგებლო ძმათა სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შესაწყვეტათ, მე მიზანშეწონილათ მიმაჩნია, რომ თქვენ და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტფილისში ჩამობრძანდეთ საერთო კონფერენციის მოწვევამდე ცალკე თათბირის მოსახდენათ შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობისათვის და შეთანხმების შესამუშავებლათ აღნიშნულ რაიონებში ამჟამინდელ უთანხმოების მოსახსპობათ. ჩემის მხრით სამსახურს გაგიწევთ შეთანხმების მისაღწევათ დახმარების და შესაფერ ბინის აღმოჩენით.

საგარეო საქმეთა მინისტრი

ე. ჰ. **გეგეჭკორი.**

ოფიციალური ცხოვრება.

ქუთაისის თვითმართველობაში.

ქუთაისის ქალაქის სანიტარული ექიმი ვალერიანე ლორთქიფანიძის ცნობით—უკანასკნელი კვირის განმავლობაში შავი სახადმა (სიპნოი ტიფმა) ქალაქში საშინელი სახე მიიღო ქუთაისში შემთხვევებია დღეში შავი სახადით დაახლოებით 8—10 კაცის ავად გახდომის.

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობაში ქალაქში წესიერების და მყუდროების დაცვაზე მილიციის უფროსმა სილიბისტრო მალნარაძემ 26 დეკემბერს მოხსენება გააკეთა. მილიციის უფროსის მოხსენებით გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელ დროს (ერთი კვირის მიმდინარეობაში) ქალაქში შემთხვევა არ ყოფილა ბოროტმოქმედების ჩადენის და მყუდროების დარღვევისა.

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ საქართველოს ტრენებთან ბრძოლის დროს დაშავებულთა საყურადღებოთ გამოაკრა ქუჩებში შემდეგი შინაარსის განცხადება: „შინაგან საქმეთა სამინისტროს 1919 წ. ცირკულიარის ძალით (№ 15) მტერთან ბრძოლაში დახოცილთ, ან მუშაობის ჟნარ-დაკარგულ სანხედრო პირთ, სახალხო გვარდიელთ, მოხალისეთა და მათ ოჯახობათ მთავრობისაგან ენიშნება ყოველთვიური დახმარება, რომლის რაოდენობა ქ. ქუთაისის მცხოვრებთათვის ფლრის თვეში 550 მანეთს. ამ დახმარების დარიგება დავალებული აქვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას. დაინტერესებულმა პირებმა ხსენებული დახმარების მისაღებად უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობის წევრს ლევან ქორქაშვილს, რომელსაც უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები: ა) მოწმობა შესახებ იმისა, სად და რიდის დაშავდა სამხედრო პირი, ბ) სამხედრო ჰოსპიტალის მოწმობა შესახებ იმისა, რომ სანხედრო პირი ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა, ანუ შრომის უნარი დაკარგა და გ) სიღარიბის მოწმობა“.

—

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის საქმეთა განყოფილების ცნობით ქალაქში გაჩნდა: ყვავილი, მუცლის ტიფი, (ბრიუშნოი ტიფი) წითელა და ყელჭირვება. ქალაქის გამგეობის მხრით გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველათ ყოველგვარი ზომებია მიღებული.

ლანჩხუთის ქალ. თვითმართველობაში

დადგენილ იქნა აიგოს იჯარით აღებულ ბილიხოძის მიწაზე ქალაქის სასალახო თანხმად ქალაქის გამგეობის მიერ წარმოდგენილ პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვისა. საიჯარო ხელშეკრულების შედგენა დაევალა, გამგეობასთან ერთად იურიდიულ კომისიას.

ნაცვლად ორ დეკემბრის სხდომაზე მიღებულ დადგენილებისა, საბჭომ გადასწყვიტა სანიტარული გადასახადი 350 ათასიდან გადადებულ იქნეს 500 ათას მანეთამდე. დაევალა გასულ სხდომაზე არჩეულ სპეციალურ კომისიას გადასახადის გაწერა და სიების ჩქარებით გამოქვეყნება.

ერ ო ბ ა.

ქუთაისი სამაზრო ერობაში.

სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა მომავალ წლის იანვარში გახსნას საყულიის თემმა სამედიცინო პუნქტი.

—

გამგეობამ ამა წლის 20 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა მიეცეს სესხათ თანამშრომელთა დამხმარე საზოგადოება „კოოპერატივს“ 200,000 მანეთი ფულად და საქონლით.

—

ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა აღიძრას სათანადო შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა სამაზრო ერობას და მის აგენტებს მიეცეს ნება ტელეფონით სარგებლობისა მაზრაში უფასოთ, თუ ეს შეუძლებელი იქნება მიეცეს საშუალება ერობის მთელი წლის გადასახადის ერთბაშად გადახდისა.

—

1919 წ. დეკემბრის, საღამოს 8 საათზე ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის ბინაზე შესდგა ხანის რკინის გზის საბჭოს 1-ლი კრება, რომელსაც დაესწრენ ქუთაისის სამაზრო ერობიდან: კ. სულაქველიძე, მ. გავაშელი, გ. კაპანაძე, ლ. გრიგოლია, ლ. მიქელაძე, დ. ნაზაროვი. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობიდან: ა. მეფისაშვილი, ტრ. ჯაფარიძე, ალ. ჯაფარიძე, გ. ქორქაშვილი, დ. ავალიანი, ლ. ქორქაშვილი. სამტრედიის ქალაქის თვითმართველობიდან: ე. არდიშვილი, ნინუა. ხონის ქალაქის თვითმართველობიდან ბახტაძე.

კრება გახსნა ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ კ. სულაქველიძემ. დღის წესრიგი:

1. მოხსენება ერობის გამგეობისა, 2. მოხსენება კომისიისა, 3. მუდმივი პრეზიდიუმის არჩევა, 4. გამგეობის წევრების ჯამაგირების განსაზღვრა, 5. გამგეობის წევრების, თავმჯდომარის და მათი კანდიდატების არჩევნები, 6. უფროს ინჟინრის არჩევა, 7. გამგეობის მუდმივი ბინის არჩევა, 8. ობლიგაციების გაცემა, 9. სარევიზიო კომისიის არჩევა.

ერობის გამგეობის თავმჯდომარემ გააცნო კრება დღევანდელ ფაქტიურ მდგომარეობას. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წესდება უკვე დამტკიცებულია მთავრობის მიერ. ნებართვა ობლიგაციების მაგიერ დროებით მოწმობების გაცემისა უკვე მოცემულია და მაშასადამე ეხლა მხოლოდ გამგეობის არჩევაა საჭირო, რომ ერობის მიერ დაწყებული მუშაობა გაგრძელდეს.

კომისიამ გააცნო კრებას მათ მიერ ნახარჯის საბუთების განხილვის შედეგი.

ანგარიშები როგორც ერობის გამგეობის, აგრეთვე თვით რკინის გზის ინჟენერის კანცელიარიის წესიერად არის ნაწარმოები, ყველა დოკუმენტები თავის ალაგასაა; მხოლოდ კომისია არ შეუდგა იმის განხილვაში, თუ რამდენად მიზან შეწონილად არის ნაწარმოები ხარჯი, ან თუ შეძენილი მასალები შეესაბამება წიგნებში გატარებულ ცნობებს, იმიტომ რომ მათი აზრით ეს მომავალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის საქმეა.

კრებამ კომისიის მოხსენება დაამტკიცა და გადაწყვიტა მიენდოს მომავალ გამგეობას გამოიკვლიოს თუ ვის და რამდენი უმუშავნია დღემდე ხონის რკინის გზის გაყვანაზე და ამისდა მიხედვით მისი აზრით ვის რამდენი ჯილდო მიეცეს.

მოსაზრება ამ საკითხის შესახებ გამგეობამ დასამტკიცებლად უნდა მოახსენოს შემდეგ მორიგ საბჭოს წევრთა კრებას.

კ. სულაქველიძის წინადადება მუდმივი პრეზიდიუმის არჩევის შესახებ კრებამ უარყო, რადგან ეს ეწინააღმდეგება მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდებას.

გამგეობის წევრების ჯილდო კრებამ განსაზღვრა თვეში 5000 მანეთი.

გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სერგო მაჩაჯანოვი, წევრებათ ბეგლარ ფალავა და აკაკი აბულაძე.

მათ კანდიდატებად ნინუა ს., ჭეიშვილი და ალ. ნემსაძე.

სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ ლ. გრიგოლია, გ. ქორქაშვილი და ვარლამ ჭილაძე.

უფროსი ინჟინრის შესახებ კრებამ დაადგინა: დროებით ვიდრე გამგეობა და სარევიზიო კომისია მის მუშაობას გაეცნობოდეს დარჩეს ინჟენერი კარპოვი.

ობლიგაციების გამოცემის შესახებ კრებამ დაადგინა: გამოიცეს ასეთები და გავრცელდეს საზოგადოებაში ნომინალურ ფასებში.

ამ საქმის ორგანიზაცია დაევალოს გამგეობას.

საერთო თვალ-ყურის დევნება გამგეობისა კრებამ დაავალა სამაზრო ერობას.

ბ ა ნ ც ხ ა ბ ე ბ ა ნ ი

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 15 იანვარს 1920 წლ., შუადღის 12 საათზედ, აღნიშნულ განყოფილების ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, დაბეჭდილის ბარათების დაშვებით, ბორჩალოს მაზრაში სათევზაოთ შემდეგი მდინარე წყლების გასაცემათ: 1) მდ. მტკვარზე—ორი ნაკვეთი, აღნიშნული საიჯარო დავთრის წიგნში № 491 და 492,—ვაჭრობა დაიწყება 10,000 მან. თითო ნაკვეთზე, 2) მდ. ხრამზე—ექვსი ნაკვეთი, აღნიშნულები საიჯარო დავთრის წიგნში № 524—20,000 მან., № 490—10,000 მან., № 503—6000 მ., № 504—6000 მ., № 505—15,000 მან., № 506—8000 მან., 3) მდ. დებედა ჩაიზე № 518—4000 მან., № 507—13,000 მან. და 4) მდინ. მაშავერზე № 525—10,000 მან. და № 508—4000 მან.

პირადი ვაჭრობის მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება ორ მანეთიანი საღერბო მარკით. დაბეჭდილი ბარათები ამავე საღერბო გადასახადით წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 15 იანვრის შუადღის 12 საათისა. დაწვრილებითი პირობების განხილვა ხსენებულ სათევზაო ადგილების გაცემის შესახებ შეიძლება ყოველ დღე 12—3 საათამდე საიჯარო განყოფილების ბინაზე, ევანგელოვის ქუჩა № 2, ბორჩალოს სამაზრო ერობაში და ბორჩალოს მაზრის პირველ რაიონის სახელმწიფო საადგილ მამულო ფონდის გამგესთან ქ. შულავერში. 316 1—1

ივანე დავითის ძე სახუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1948 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული ქუთაისის სამხედრო ბეგრის უფროსის კანცელარიიდან. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 499 3—1

აქციზის სამართველო ამით აცხადებს, რომ ონიაკის გადასტანი მოწმობა მიცემული კონიაკის საწყობის პატრონისაგან ალ. სუკიასოვისგან 16 დეკემბერს, 1919 წ. № 4511, ტფილისის კონიაკის საწყობის ილია ლაზარევის სახელზე ერთი კათხა სულ 30 ვედრის, სიმაგრით 43%. სულ 1290 გრად., ეს მოწმობა ამიერიდან გაბათილებულია, მის მაგიერ ლაზარევს მიეცა მოწმობის პირი 26 დეკემბერს, 1919 წ. № 9170-ით. 479 3—3

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ მოქალაქე სამუილ სოლომონის ძე ლიბმანს დაჰკარგვია მისი უვადო პასპორტის წიგნაკი გაცემული ფოთის ყოფილ პოლიციის სამართველოდან 1910 წელს, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 274 1—1

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ მოქალაქე ალექსანდრე ეფრემის ძე ხოშტარიას დაჰკარგვია უვადო პასპორტის წიგნაკი გაცემული ფოთის ყოფილ პოლიციის სამმართველოდან 1910 წელს, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 273 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს მოქაული ი. ვ. გრინიოვი ამით აცხადებს, რომ 26-ს თებერვალს 1920 წელს დილის ათ საათზე, იმავე სასამართლოს დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უძრავ მამულზე, კუთვნილი მიცვალებულის სალომე ივანეს ასული მღებროვის მემკვიდრეებისა—იოსებ ივანეს ძე მღებროვისა, ელენე ივანეს ასულის ამირაღოვისა ნატალია ივანეს ასული სარუმოვისა, მარიამ ივანეს ასული დავიდოვისა და ოლგების გარდაცვალებულის ნიკოლოზ ივანეს ძე მღებროვისა, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ლევაშოვის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ერთ ნაკერს ეზოს ადგილს ხაზთა ზომებში: 13 საჟ. და $2^3/_4$ არ. ჩრდილოეთით 10 საჟ., აღმოსავლეთით 6 საჟ. და $2^1/_4$ არშ. და დასავლეთით 8 საჟ. და 2 არშ. სულ 94 ოთხკუთხი საჟენი, ზედვე აშენებული ორსართულიანი სახლით, რომელიც არის დახურული ნაწილი ყავრით და ნაწილი თუნუქით, ქვედა სართული ამ სახლისა არის ქვის სამი განყოფილებით და ზედა სართული კი ხისა, სამი განყოფილებით, მამული არის შეფასებული სამას თუმნათ (3000 მან.), რომ, ლიდანაც დაიწყება ვაჭრობა დასაკმაყოფილებლად აღექსანდრე ივანეს ძე მღებროვისა გირაობის სიმტკიცით ჯამში 5000 მან., სარგებლით და საქმის საწარმოებლათ და სხვა მოვალეთ 1130 მან. საჯარო ვაჭრობა შეიძლება დაიწყოს აგრეთვე მე-1182 მუხ ძალით სამ. წ, როგორც მეორე საჯარო ვაჭრობა-აღნიშნული მამული აქვს დაგირავებული აღექსანდრე ივანეს ძე მღებროვს ზემოხსენებულ ჯამში. ყველა, ვინც მოისურვებს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, გარდა პირთა აღნიშნულ 1156³ მუხლ. ს. ს. წ. წ., ვალდებულია წარმოადგინოს საჯარო ვაჭრობის დაწყებამ-10% ზემოხსენებულ დაფასებისა, ფრცელი სიის და სხვა ქაღალდების განხილვა ამ მამულს შესახებ შეიძლება ოლქის სასამართლოს კანცელარიაში. 0419 1—1

ზაქარია ოთინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო წისქვილიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 474 3—3

ტიმოთე როსტომის ძე არჩუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე ფულით, 400 მან., პიროვნობის მოწმობა № 220, მიღებული ტფ. მილ. უფრ. კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 475 3—3

ალექსანდრე პავლეს ძე ტეტუნაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული სისხლის სამართლის მილიციის კანცელარიიდან, პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 465 3—3

ივანე მაქსიმეს ძე ჩიკურიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფილისის სინოდის კანტორიდან და თელავის სასულიერო სასწავლ. 4 კლასის დამთავრების მოწმობა. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება. 477 3—2

საქართველოს რესპუბლიკის საავტიზო სამართველო ამით აცხადებს, რომ საგირავნო კვიტანციები, რომელნიც იყვნენ მიცემული აღნიშნულ სამართველოდან სავაჭრო სახლისა სესიაშვილზე, № 6789 და 6790 თითო 10 ათასი მანეთიანი სულ 20,000 მანეთის, სესიაშვილმა დაჰკარგა და გაუქმებულად ითვლება. 468 3—2

გერასიმე ალექსის ძე ვაშაკიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 3—1 501

ფრანც სტანისლავის ძე ბრაზოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საპენსიო წიგნაკი № 19, და პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 423 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი